ოქმი №16

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2025 წლის 25 სექტემბერს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბ. ხურცია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურისკომისიის თავმჯდომარე - გ. წურწუმია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე - ლ. ჯინორია.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ზაზა ნაჭყებია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ნაჭყებია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 6; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ნაჭყებია

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი - ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრის" 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე;

და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი პროექტი დაემატოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 სექტემბერს ჩასატარებელ სხდომის დღის წესრიგს.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 6; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

შეტანილ იქნეს ცვლილება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ 2025 წლის 22 სექტემბერს შედგენილ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში. კერძოდ, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას 2025 წლის 30 სექტემბერს განსახილველად წარედგინოს საკითხები შემდეგი დღის წესრიგის პროექტის სახით:

„დღის წესრიგი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2. ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალური კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა

3. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის“ 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალური კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა

4. ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრის“ 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია“

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ზაზა ნაჭყებია